საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №297
2016 წლის 1 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 4 ნოემბრის №365 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 4 ნოემბრის №365 ბრძანებით (ვებგვერდი, 05.11.2013, 010320040.22.033.016585) დამტკიცებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 60. სამსახურის უფროსი

სამსახურის უფროსი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონის „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის №312 დადგენილების „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) ორგანიზაციული პროცესების დაგეგმვის და მართვის სისტემის ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) და Internet-ის ცოდნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**